## ხელშეკრულება№9
## სახელმწიფო შესყიდვისშესახებ

ქ. გორი

09 თებერვალი 2017წელი

ერთის მხრივ,ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“(შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ბესიკ გიორგაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი (პ/ნ 43001000395) (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით,ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებისსაგანი

1.1.ხელშეკრულებისსაგანიაა(ა)იპ გორის მინიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლისთვის გამოყოფილი სახსრებითორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ბულდოზერი „მიკროავტობუსის-Mercedes-benz“ გამოშვებისწელი 2001წ. სახ.№PI-426-IP სხვადასხვა ნაწილების შეკეთების მომსახურების(CPV 50100000)შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა.

### 2.შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:“მიკროავტობუსის-Mercedes-Benz“გამოშვებისწელი 2001წ. სახ.№PI-426-IP სხვადასხვა ნაწილების (დინამოს შეკეთება) შეკეთების მომსახურების (CPV 50100000)

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის–50 (ორმოცდაათი)ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
5.2 მომსახურების გაწევის ადგილია : ქ. ორი.
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციისწარდგენა შემსყიდველისათვის.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტისმიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30(ოცდაათი) კალენდალური დღისა.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოსშესყიდვისობიექტისმიღება.
8.3.მიმწოდებელსუფლებააქვს:- მოსთხოვოსშემსყიდველსშესყიდვის ობიექტისღირებულებისანაზღაურებახელშეკრულებითგათვალისწინებულიპირობებით.
8.4.მიმწოდებელივალდებულია:-დაიცვასხელშეკრულებითგათვალისწინებულიყველაპირობა

### 9. მხარეთაპასუხისმგებლობახელშეკრულებისდარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017წლის 31 მარტის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შექმნა ფორს-მაჟორულიგარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის მძღოლი – გიორგი მჭედლიძე

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

---

დამკვეთი შემსრულებელი

| | |
|---|---|
| ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტისკომპლექსური სპორტული სკოლა | ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი |
| ს/კ417882857 | ს/კ43001000395 |
| მის. ქ.გორი, სტალინის#6 | მის: ქ.გორი შინდისის გამზ. |
| ბანკი: საქართველოს ხაზინა | ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“ |
| ა/ახაზინის ერთიანი ანგარიში | ა/აGE34PC0143600100034813 |
| დირექტორი: ზესიკ გიორგაშვილი | ბანკის კოდი: MIBGGE22 |
| | მიმწოდებელი:მალხაზი უმეკაშვილი |

**№9**

**მიღება - ჩაბარების აქტი**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა

ქ.გორი 09 თებერვალი 2017 წ.

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (ს/კ 417882857) და ი.მ. მალხაზი უმეკაშვილი(პ/ნ43001000395) შორის 2017 წლის 09 თებერვალს გაფორმებული №9ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა(შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილიმძღულის - გიორგი მჭედლიძისსახით, და მეორეს მხრივ, ი.მ. 43001000395 (შემდგომში „მიმწოდებელი„), ვადგენთ ამ მიღება- ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა:

მიკროავტობუსის „Mercedes-Benz”გამოშვებისწელი 2001წ. სახ.№PI-426-IPსხვადასხვა ნაწილების (დინამოს შეკეთება) შეკეთების მომსახურება (CPV 50100000).

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 50 (ორმოცდაათი) ლარი, დ.ღ.გ-სა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

მიიღო : ჩააბარა :

------------------------- -------------------------

გია მჭედლიძე მალხაზ უმეკაშვილი